



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გელათის ბიბლია

გელათის ბიბლია, XII ს. ქართული სამწერლობო ენის მნიშვნელოვანი ძეგლი, შესრულებულია ქალაქდზე ინდივიდ. ნუსხური ხელით, შეიცავს 301 ფურცელს, ზომა 35 X 25 სმ. აღმოაჩინა თ. ჟორდანიამ ქუთაისის ბაგრატის ტაძარზე მიშენებული ეკლესიის ნანგრევებში და მანვე აღწერა ვრცლად (ქრონიკები, II, ტფ., 1897). დაცულია საქართვე. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-ტში (ახლანდ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) (A - 1108). ძალზე დაზიანებული და ნაკლულია, მოღწეული ნაწილი რესტავრირებულია. ამავე ტექსტს შეიცავს A - 1108-ის მსგავსი ისტორიის მეორე ხელნაწერი (O - 1152), ქალაქდზე ნაწერი მსხვილი ნუსხური ხელით, XII - XIII სს. 421 ფ. ზომა 39,5 X 28,5 სმ. O - 1152 უნდა იყოს A - 1108-იდან ან შუალედური ნუსხიდან გადანაწერი. არ გამოირიცხავენ ორივეს წარმომავლობას ერთი ხელნაწერიდანაც (თ. ჟორდანიას). ორივე ხელნაწერი შეიცავს ძველი აღთქმის წიგნთა თავისებურ, ბერძნობებით დამძიმებულ პეტრინული სტილის ქართ. რედაქციას. ბიბლიის ძირითადი ტექსტი მოთავსებულია ფურცლის შუა ნაწილში, განიერ არშიებზე კი ახლავს თარგმანები - კომენტარები, რის გამოც მას კატენებიან ბიბლიასაც უწოდებენ. კომენტარები განსამარტავ კიმენურ ტექსტთან დაკავშირებულია ასოებრივი ნუმერაციით და 40-მდე პირობითი ნიშნით. ამერ. ქართველოლოგმა ბლექი რობერტ|რ. ბლექმა საგანგებოდ შეისწავლა გ. ბ., დაალაგა არეული ფურცლები, გვერდებად დააწყო და მნიშვნელოვანი ფილოლ. საკითხები გაარკვია.

A-1108 არასრულად შეიცავს ძველი აღთქმის შემდეგ წიგნებს: ლევიტელთად, რიცხუთად, II მჯულთა, ისუ ნავესი, მსაჯულთად, რუთისი, ესაიასი, იერემიასი, ეზეკიელის და მცირე წინასწარმეტყველებს (იოსია, იოველი, ამოსი, აბადია, იოანა, მიქია, ნაუმი, სოფონია, ანგია, ბაქარია). Q-1152 ხელნაწერი უფრო ვრცლად შეიცავს ამავე წიგნებს, მაგრამ აკლია წინასწარმეტყველთა წიგნები. A-1108 ხელნაწერისთვის რედაქცია გაუკეთებია ს.-ს.

ორბელიანს. მასვე სომხ. ბიბლიის ვოსკანის (1666) გამოცემის ახ. დაყოფისებრ შეუტანია მასში თავებისა და მუხლების მაჩვენებლები. საბას ნარედაქციევი ტექსტი ნაწილი (წინასწარმეტყველები) დაიბეჭდა 1710-იან წლებში თბილისში, ვახტანგ VI-ის სტამბაში [ეს გამოცემა დაუსრულებელი დარჩა, დღემდის მხოლოდ სამი ნაკლული ცალია მოღწეული; საქართვ. ეროვნ. ბ-კისა (F-135/4), უნ-ტისა (F-19578), ხელნაწერთა ინ-ტისა (ჩაკერებულია ე. წ. ბიბლიის მცხეთურ ხელნაწერში, A-51-ში)]. შემდგომ ეს ნაბეჭდი ტექსტი ბიბლიის ბაქარისეულ (1743) გამოცემაში გადავიდა. ფიქრობენ, რომ უშუალოდ გ. ბ-ში შეტანილი ცვლილებები საბას რედაქტორული მუშაობის ერთ-ერთ ეტაპს ასახავს და არა უკანასკნელს. ამიტომაც ზოგიერთი ტექსტობრივი სხვაობა ამ ნუსხასა და ნაბეჭდ ტექსტს შორის.

გ. ბ-ის ტექსტიდან გამოცემულია: წინასწარმეტყველთა წიგნები-ეგეკიელისა - თ. ცეციტიშვილის მიერ, 1976; იგივე. სხვა წინასწარმეტყველებთან ერთად - ე. დოჩანაშვილის მიერ - 1985- 86 (სათაურით „მცხეთური ხელნაწერი“); „წიგნი ძუელისა აღთქემისანი“, მომზადებული ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით, ნაკვ. 1-3, 1989-91.

წყარო და ლიტ.: გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ბ., კ ი კ ვ ი ძ ე ც., რუსთაველის ხანის ქართული ბიბლიის თარგმანი (გელათური ვერსია), კრ.: შოთა რუსთაველი, თბ., 1966; დ ა ნ ე ლ ი ა კ., სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი წყარო, «მაცნე», 1964, № 2; ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, «მნათობი», 1939, № 4; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, თბ., 1981; ჟ ო რ დ ა ნ ი ა თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ. 2, ტფ., 1897; Б л е й к Р. П., О Древнегрузинских версиях Ветхого Завета, «Извсестия Кавк. Отделения Моск. Археол. об-ва», 1921, в. 6; მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი დ., გელათის აკადემია სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი სასწავლებელი ყრმათათვის, თბ., 2019; მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი ნ., ბიბლიის ქართული თარგმანების შემცველი ხელნაწერი კრებულები, ბიბლიოლოგია, თბ., 2012; ხ ა რ ა ნ ა უ ლ ი ა., გელათის ბიბლიის კატენების შედგენილობა, გელათი-900; სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2007; ჯ უ ლ ე ლ ი ვ., გელათის კატენებიანი ბიბლიის სტრუქტურისა და წყაროთა საკითხისათვის, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი 2002, N4.

კ. დანელია
